

საუდის არაბეთისა და აშშ-ის ურთიერთობები - საერთო ინტერესები და
წინააღმდეგობები

ნინო კარანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კარანაძე 26.06.2019

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract	1
შესავალი	2
საკითხის აქტუალობა.....	3
ლიტერატურის მიმოხილვა	4
თეორიული ჩარჩო	6
საკვლევი კითხვა	9
ჰიპოთეზა.....	10
მეთოდოლოგია.....	11
აშშ-ის ინტერესები საუდის არაბეთში - ურთიერთობების პირველი ფაზა.....	12
ყურის ომის შემდგომი სტაბილურობა - მეორე ფაზა	15
უსაფრთხოების მიმართულებით დღესდღეობით არსებული თანამშრომლობა და საუდის არაბეთის კამპანია იემენში - მეოთხე ეტაპი.....	18
ხაშოგის მკვლელობა - მეხუთე ფაზა.....	19
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასკვნა ხაშოგის მკვლელობის საქმეზე	20
რა გავლენას მოახდენს ხაშოგის მკვლელობა აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებზე? ..	22
საუდის არაბეთი და 9/11	27
მუჰამად ბინ სალმანი და რეფორმები	30
მოსალოდნელია თუ არა ამერიკის მხრიდან ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკის გადახედვა ხაშოგის მკვლელობის შემდეგ?.....	34
უფრო მეტი ვიდრე ნავთობი და სამხედრო შეიარაღება	36
თავდაცვა და კონტრ-ტერორიზმი.....	37
ბირთვული გაუვრცელებლობა	38
დასკვნა.....	39
გამოყენებული ლიტერატურა:	41
DePetris, Danierl R. The U.S. -Saudi Relationship. The New York Times. https://www.nytimes.com/2019/02/14/opinion/letters/saudi-united-states-khashoggi.html (26.06.2019).....	42

აბსტრაქტი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საუდის არაბეთის როლი საერთაშორისო არენაზე, გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის მიმართულებით, კრიტიკულად გაიზარდა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ყურის რეგიონის უსაფრთხოება და ნავთობზე დაწესებული ფასები - ეს ის საკითხებია, რომელზე საუბრისასაც საუდის არაბეთი მსოფლიო არენაზე ცენტრალურ ადგილს იკავებს.

ამ შემთხვევაში საუდის არაბეთის განვითარება სამ ეტაპად შეგვიძლია მოვიაზროთ: 1962 წლამდე ფორმირებადი პერიოდი, სახელმწიფოს ცენტრალიზება და ინტენსიური ეკონომიკური განვითარების ინიცირება 1962 წლიდან 1979 წლამდე და 1979 წლის შემდეგ სახელმწიფოს გარდაქმნა. მოცემულ ნაშრომში, აქტუალობიდან გამომდინარე, აქცენტი უფრო მეტად გაკეთდება შემდეგ მიმართულებებზე:

- საგარეო პრობლემები, რომელთა წინაშეც ამ მომენტისთვის სახელმწიფო დგას
- კავშირები საუდის არაბეთსა და ისლამურ რადიკალიზმს შორის (9/11 და მისი შემდგომი პერიოდი)
- თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები - ხაშოგის მკვლელობა, აშშ-სთან ურთიერთობების დინამიკა და ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხი.

Abstract

During the past several decades, the role of Saudi Arabia in terms of global peace and stability, has increased critically. Fight against terrorism, security of the Gulf region and

oil price controlling – these are the issues which places Saudi Arabia on a central point on international arena.

Though the development of the kingdom can be divided into several parts (period before 1962, centralizing the state and initiating intensive economic development during 1962-1979 and state transformation after 1979), currently because of its importance, research is mainly focused on the following issues:

- foreign problems and challenges Saudi Arabia is facing at this moment
- connections between the kingdom and Islamic radicalism (periods before and after 9/11)
- Murder of Saudi journalist Jamal Khashoggi, dynamics of the relations with the US and nuclear nonproliferation issue.

შესავალი

საუდის არაბეთის, როგორც გლობალური მოთამაშის როლზე საერთაშორისო საზოგადოება ერთხმად თანხმდება. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, დიდ გავლენას ახდენს, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ვითარებაზე. ამ ფაქტს ამყარებს ისიც, რომ გლობალური დამოკიდებულება საუდის არაბეთის გაზსა და ნავთობზე განუზომელია და პოლიტიკურ ეკონომიკაზე კრიტიკულ გავლენას ახდენს. არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც შესაძლებელია, უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს ორგანული ნაერთებისგან მიღებული საწვავის წარმოებაზე და მათზე დაწესებული ფასების რეგულირებაზე.